

შპს „კონიკა მინოლტა ბიზნეს სოლუშენს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

31 დეკემბერი, 2024

ნინო კერესელიძე
ფინანსური კონტროლიორი

შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

სრული შემოსავლის ანაგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)			
	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
ამონაგები		8,730,158	9,491,832
გაყიდვების თვითღირებულება		(4,923,059)	(6,702,664)
საერთო მოგება		3,807,099	2,789,168
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები		(992,719)	(812,518)
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი		(53,040)	0
საკონსულტაციო ხარჯი		(14,768)	0
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(16,453)	0
იჯარის ხარჯი		(42,834)	(26,502)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(319,514)	(343,406)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი		(809,413)	(394,893)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(715,473)	(435,794)
საოპერაციო მოგება		842,885	776,055
კურსთა შორის სხვაობით მიღებული მოგება /ზარალი		721,412	(582,344)
არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა		4361	
საპროცენტო შემოსავალი			
აპროცენტო ხარჯი			(5,186)
მოგება დაბეგრამდე		1,568,658	188,525
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი		1,568,658	188,525

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 აგვისტოს

ნინო კერესელიძე

ფინანსური კონტროლიორი

6



KONICA MINOLTA
KONICA MINOLTA BUSINESS
SOLUTIONS GEORGIA LLC
 შპს კონიკა მინოლტა
 ბიზნეს სოლუშინს ჯორჯია
 ID 16/3 405338120

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)**

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		961,657	1,953,307
სხვა მხარეებზე ავანსებად გაცემული ფულადი სახსრები		401,14	42,978
მოკლევადიანი მარაგები		505,318	69,2647
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,912,734	85,6790
ძირითადი საშუალებები		2,590,623	25,35449
სულ აქტივები		6,010,446	6,081,171
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		2,963,750	45,92633
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		26,000	70,000
შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები		10,517	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		623,114	60,0119
სულ ვალდებულებები		3,623,381	5,262,752
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		237,307	237,307
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,149,758	581,112
სულ საკუთარი კაპიტალი		2,387,065	818,419
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,010,446	6,081,171

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 აგვისტოს

ნინო კერესელიძე

ფინანსური კონტროლიორი

6. 
KONICA MINOLTA
KONICA MINOLTA BUSINESS
SOLUTIONS GEORGIA LLC
შპს კონიკა მინოლტა
ბიზნეს სოლუციონს ჯორჯია
ID 16/3 405338120

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)			
თარიღი	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / (ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
31/12/2021	237,307	588,671	825,978
31/12/2022	237,307	920,221	1,157,528
31/12/2023	237,307	581,112	818,419
31/12/2024	237,307	1,568,658	2,387,065

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 აგვისტოს

ნინო კერესელიძე

ფინანსური კონტროლიორი



 KONICA MINOLTA

 KONICA MINOLTA BUSINESS

 SOLUTIONS GEORGIA LLC

 შპს კონიკა მინოლტა

 ბიზნეს სოლუშენს ჯორჯია

 ID 16/3 405338120

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)			
		2024	2023
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		-991,650	1,065,383
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)		920,221	1065,383
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი		0	4,724
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში		1,953,307	883,200
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		961,657	1,953,307

დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 29 აგვისტოს

ნინო კერესელიძე
ფინანსური კონტროლიორი



შპს „კონიკა მინოლტა ბიზნეს სოლუშენს ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „კონიკა მინოლტა ბიზნეს სოლუშენს ჯორჯია“ “ რეგისტრირებულია საქართველოში 2019 წლის 31 მაისს. საიდენტიფიკაციო ნომრით 405338120 , მისამართზე –საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, თბილისი, საქართველო.

ბიზნეს საქმიანობის ძირითადი სახეობაა მრავალფუნქციური საბეჭდო მოწყობილობების მიწოდება, მონტაჟი, მომსახურება და გაქირავება.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

საწარმო ასევე ეწევა ექსპორტს სომხეთსა და აზერბაიჯანში.

კაპიტალი 31/12/2024 მდგომარეობით: 237 307 ლარი. ეს არის მთლიანად უცხოურ საკუთრებაში არსებული კომპანია: 100% Konica Minolta Business Solutions Czech s. r. o - მიერ.

2. მომზადების საფუძველი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ შესაბამისად . საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს



3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა :

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისად, რომლებიც შეირჩა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ - ჩარჩოში. მენეჯმენტის მიერ შერჩეული პოლიტიკები მიზნად ისახავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების საკმარისად სარწმუნოდ და გონივრულად ასახვას. აღნიშნული პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენება როგორც მიმდინარე, ისე წინა საანგარიშო პერიოდებში.

3.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც იდენტიფიცირდება საკონტრაქტო ვალდებულება და შესრულებულია საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა, რაც საწარმოს აძლევს უფლებას მიიღოს ანაზღაურება. ამ ოდენობიდან გამორიცხულია ნებისმიერი სახის ფასდათმობები, როგორიცაა: სავაჭრო ფასდაკლებები; ვადაზე ადრე გადახდის ფასდაკლებები; მოცულობაზე დაფუძნებული წახალისებები. პროცენტული შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.2 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით დაკავშირებული მიმდინარე ვალდებულება (ან აქტივი) ფასდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, არაპროფილური ხარჯები, უსასყიდლო გადაცემები და ლიმიტს გადაცილებული წარმომადგენლობითი ხარჯები. დივიდენდების გარდა, სხვა დაბეგვრის ობიექტები იხეგრება მათი წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარებულია ყოველთვიურად. დივიდენდის გადასახადი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც საწარმო ვალდებულებას იღებს მის გადახდაზე.

3.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები თავდაპირველად აღიარებულია საწარმოს სამუშაო ვალუტაში (ლარში), იმ სპოტ კურსის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ოპერაციის განხორციელების თარიღზე — ანუ იმ დღეზე, როცა პირველად ხდება ოპერაციის აღიარება ბუღალტრულ აღრიცხვაში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფასდება იმ სპოტ კურსის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს აღნიშნული პერიოდის ბოლოს (31 დეკემბრის მდგომარეობით).

არაფულადი მუხლები, რომლებიც აღიარებულია ისტორიული ღირებულებით, არ ექვემდებარება კურსით გადახედვას.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა: უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად მუხლებზე საბოლოო ანგარიშსწორებისას, ან იმ შემთხვევაში, როცა ფულადი მუხლები გადაიხედება იმ სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მათი თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული კურსისგან, აღიარებულია მოგებასა ან ზარალში იმ პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშობა.

ანგარიშგების თარიღზე გამოყენებული სავალუტო კურსები იყო შემდეგი:

ვალუტა	31.12.2024	31.12.2023
აშშ დოლარი (USD)	2.8068	2.6894
ევრო (EUR)	2.9306	2.9753

3.4 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკებში არსებულ ანგარიშებს. ისინი ფასდება ნომინალური ღირებულებით, ხოლო უცხოურ ვალუტაში - საქართველოს ეროვნული ბანკის 31.12.2025 წლის დახურვის კურსით. 31.12.2025 წლის მდგომარეობით, საბანკო ანგარიშებზე თანხა შეადგენს 961,657 ლარს.

3.5 მარაგები

მარაგები აღიარებულია იმ ოდენობით, რომელიც წარმოადგენს უმცირესს მათ თვითღირებულებასა და სუფთა რეალიზაციის ღირებულებას შორის.

- თვითღირებულება მოიცავს ყველა შემენასთან, წარმოებასა და მარაგის მიმდინარე ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ და გადაფასებულ დანახარჯებს.
- სუფთა რეალიზაციის ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთან დაკავშირებული შესაძლო დანახარჯები.

თუ სუფთა რეალიზაციის ღირებულება თვითღირებულებაზე ნაკლებია, სხვაობა აღიარებულია გაუფასურების ზარალად და აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში.

შემდგომი პერიოდის განმავლობაში, თუ სუფთა რეალიზაციის ღირებულება გაიზარდა, გაუფასურების აღდგენაც დაშვებულია, მაგრამ მხოლოდ იმ დონემდე, რაც არ აღემატება მარაგის თავდაპირველ თვითღირებულებას.

როდესაც მარაგები გაიყიდება, მათი საბალანსო ღირებულება აისახება იმ პერიოდის ხარჯად, რომელშიც აღიარებულია შესაბამისი შემოსავალი.

მარაგების გასაწერად გამოიყენება „პირველი შემოსავალი — პირველი გასავალი“ (FIFO) მეთოდი.

3.6 იჯარა

საწარმო კლასიფიცირებს იჯარის ხელშეკრულებებს როგორც ფინანსურ იჯარას ან საოპერაციო იჯარას იმაზე დაყრდნობით, გადაეცემა თუ არა იჯარით ამღებს აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული ძირითადი რისკები და სარგებელი.

ა) საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში.

კომპანიას აქვს ერთი ფართი იჯარით საქმიანობის განსახორციელებლად, იჯარის პირობები მოიცავს 5 წლიან პერიოდს.

ბ) იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური, როდესაც იგი არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს გადააქვს აქტივის მფლობელობასთან მიმართებაში იჯარით ამღებზე. ფინანსური იჯარის შემთხვევაში, საწარმო აღიარებს აქტივს და შესაბამის ვალდებულებას იჯარის დასაწყისში, იმ თანხით, რომელიც ნაკლებია აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებულ ღირებულებას შორის. აქტივზე დარიცხვა ხდება ცვეთის წესით, ხოლო საიჯარო გადასახდელები ნაწილდება ფინანსურ ხარჯებზე და ვალდებულების შემცირებაზე ისე, რომ შენარჩუნდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთი დაუფარავი ვალდებულების მიმართ.

3.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც ითვალისწინებს შეძენის ფასს და აქტივის მომზადებასთან დაკავშირებულ ყველა აუცილებელ ხარჯს. შემდგომში, ისინი შეფასებულია დარიცხული ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

ცვეთის განაკვეთები, ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო ვადა გადახედვას ექვემდებარება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ცვლილების მაჩვენებელი. ასეთი ცვლილებები გამოიყენება პერსპექტიულად.

მიმდინარე შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები აისახება მოგება-ზარალში მაშინვე მათი გაწევისას.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას (გაყიდვა ან გამოსაყენებლად მოცილება), მოგება ან ზარალი (საბალანსო ღირებულებასა და რეალურ შემოსავალს შორის სხვაობა) აღიარებულია პერიოდულ მოგება-ზარალში, როგორც სხვა შემოსავალი ან სხვა ხარჯი.

3.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღირიცხება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შეიცვალა აქტივის ნარჩენი ღირებულება ან სასარგებლო მომსახურების ვადა, მაშინ ეს ცვლილებები შევიდა პერსპექტიულად.

3.9 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება აქტივების (მათ შორის ძირითადი საშუალებების, რომლებიც არ აღირიცხება გადაფასების მოდელის მიხედვით, და არამატერიალური აქტივების) განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების.

თუ არსებობს ასეთი ნიშანი, შეფასდება აქტივის ან დაკავშირებული აქტივების ჯგუფის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარება მისი საბალანსო ღირებულებამდე.

- თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებადი ღირებულების დონემდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის საბალანსო ღირებულება გაიზრდება ზუსტად იმ დონემდე, რომელიც გამოკვეთს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის), მაგრამ არა იმაზე მეტად, ვიდრე განისაზღვრებოდა მაშინ, თუ წინა წლებში გაუფასურება არ აღიარებული იქნებოდა.
- გაუფასურების ზარალის აღდგენის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.10 დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმოს უფლება დივიდენდების მიღების შესახებ ძალაში შედის.

2019, 2020, 2021, 2022, 2023, 2024 წელს დივიდენდი არ განაწილებულა.

3.11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული, მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

გაუფასურების რეზერვში ცვლილებები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც ხარჯი. მოთხოვნები, რომელთა ამოღება აღარ არის მოსალოდნელი, საბოლოოდ ჩამოწერება ხარჯად შესაბამის ანგარიშგებით

3.12 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

თუ მიწოდება და მომსახურება განხორციელდა უცხოურ ვალუტაში, მაშინ სავაჭრო ვალდებულებების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიანი გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გაუფასურებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.14 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიღებულ მოკლევადიან სესხთან დაკავშირებით წარმოქმნილი ვალდებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებულ ღირებულებაზე.

სხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველაწარმოადგენი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

ამ ეტაპზე კომპანიას არ გააჩნია სასესხო ვალდებულება.

3.15 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

1. ამონაგები (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საქონლის გაყიდვა	8,730,158	9,491,832
	ჯამი	8,730,158	9,491,832

2. სხვა შემოსავლები (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საკურსო სხვაობა	1,621,819	475,035
2	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	40,003	8,067
	ჯამი	1,661,822	483,102

3. სხვა ხარჯები (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საკურსო სხვაობა	654,781	696,883
2	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	285,628	62,412
	ჯამი	940,409	759,295

4. მარაგები (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	საქონელი	505,318	692,647
	ჯამი	505,318	692,647

5. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშზე (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	ფულადი სახსრები სალაროში	0	0
2	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე - ლარი	162,004	1,168,358
3	ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე	799,653	784,949

	ანგარიშებზე - უცხოური ვალუტა		
	ჯამი	961,657	1,953,307

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (ლარში)

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და ამოღების ვადა განისაზღვრება ერთ წლამდე.

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო დებიტორები	1,222,656	856,790
2	წინასწარი გადახდები	40,114	42,978
	ჯამი	1,262,770	899,768

7. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (ლარში)

№	დასახელება	ნაშთი 31.12.2024	ნაშთი 31.12.2023
1	სავაჭრო ვალდებულებები	2,660,659	4,119,676
2	წინასწარ მიღებული თანხები	269,223	472,957
	ჯამი	2,929,882	4,592,633

8. ძირითადი საშუალებები (თვითღირებულების მოდელი)

დასახელება	ლიზინგი	ოფისის აღჭურვილობა	სხვა	სულ
თვითღირებულება – ნაშთი 01.01.2024	2,390,180	254,990	357,069	3,002,239
აქტივების შემოსვლა	234,260	3,309	876,874	140,208
აქტივების გასვლა	376,022	0	14,539	808,871
დაგროვილი ცვეთა – ნაშთი 31.12.2024	688,775	156,800	289,925	1,135,500
თვითღირებულება – ნაშთი 31.12.2024	1,559,644	101,499	929,480	2,590,623

6. 

4 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ჩვენ, შპს „კონიკა მინოლტა ბიზნეს სოლუშენს ჯორჯია“-ს მენეჯმენტი, ვადასტურებთ, რომ 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობისა და IFRS for SMEs-ის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტი ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას, შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას რეალურად და სიზუსტით.

ნინო კერესელიძე

ფინანსური კონტროლიორი

თარიღი: 29.08.2025

